



მათ თავი გადადეს, მათ თავი გაწირეს, მათ შექმნეს ისტორია. მაღლობა ვეტერანებს!



მთავარი პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება სამხედრო დაიჯესტი რეტრომედია ბლოგი ვიდეო სხვადასხვა News კონტაქტი

ეკონომიკა

ქართული კლავიატურა

სარემკლამო განმარი
695 X 100

f Share 1008 Like 0 Share 0 0

საკაშვილმა დიდი ჰესები შეუკვეთა



ეკა ბაქრაძე

2011-11-09 09:25:09

პრეზიდენტი მოსახლეობას დიდი ეკონომიკური პროექტებს ჰპირდება. დიდი პროექტებს კი საქართველოში ბოლომდე დასრულება არ უწყნია, თანაც როგორც წესი მოსახლეობის მხრიდან დიდ მსხვერპლსაც მოითხოვს ხოლმე.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 2012 წელი დიდი ჰესების მშენებლობის დაწყების წელი იქნება. ასეთი ომახიანი

განცხადება მან ავლაზრის რეზიდენციაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან შეხვედრისას გააკეთა.

“როდესაც ჩვენ ეკონომიკის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ მომავალ წელს ჩვენ განვითარების ახალი პროექტები - ახალი ქალაქები, ახალი კურორტები, ახალი, რევოლუციური სატრანსპორტო კომუნიკაციები გვექნება. მომავალი წელი დიდი ჰესების მშენებლობის დაწყების წელი იქნება. კერძოდ, დაიწყება ნესკრას, ხუდონის, ალბათ, ნამახვანის და სხვა ჰესების მშენებლობა”, - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, სააკაშვილი დანარჩენ ეკონომიკურ პროექტებსაც შეეხო და განაცხადა, რომ მომავალი წლიდან ახალი, დიდი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების წელიწადი დაიწყება.

“ჩვენ ფრანგებთან ერთად ახალ კურორტს ვაშენებთ სვანეთში, თეთნულდზე. საუბარია დაახლოებით 70 მილიონ ლარზე. მომავალი წლისთვის კახეთისთვის დიდი პროექტები გვაქვს. ეს იქნება ყველაზე გრანდიოზული პროექტი, რომელიც არცერთ რეგიონში არ გვექნია. არა იმიტომ, რომ მე კახეთში დავფუძნდი, არამედ იმიტომ, რომ ეს ობიექტურად საჭიროა კახეთისთვის. ამასთან, უნდა მივხედოთ ბორჯომს, რომლისთვისაც ჩვენ სერიოზული პროექტები გვაქვს.

ყველაზე დიდი სიურპრიზი ჩვენი ხალხისთვის ის იქნება, რაც მომავალი წლისთვის ახალციხეში განვითარდება. ამასთან, საბოლოო ეტაპზე გადავა სტეფანწმინდა-ყაზბეგის გვირაბის დაგეგმარება. ასევე სერიოზულად ვგეგმავთ სვანეთისა და სხვა რეგიონების მიმართულებით გზებისა და გვირაბების მშენებლობას, სადაც არავის არ წარმოედგინა, რომ ეს შეიძლებოდა, განხორციელებულიყო”, - განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოში დიდი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას და დიდი ჰესების მშენებლობას დიდი მსხვერპლი მოსდევს. უკვე ცნობილია, რომ “ხუდონისა” და “ნამახვანის” ელექტროსადგურების მშენებლობას რამდენიმე სოფელი შეეწირება. ხუდონის შემთხვევაში მთლიანად დაიტბორება საკმაოდ ცნობილი სოფელი ხაიში, ხოლო რიონის ხეობაში ნამახვანის ჰესის მშენებლობას, შესაძლოა, “ლეჩხუმის კლდედაღმართში” არსებული 14 სოფელი შეეწიროს. ასევე, წყალქვეშ აღმოჩნდება 17 არქიტექტორული და 23 არქეოლოგიური ძეგლი.

ნამახვანის ჰესის მიმდებარე ტერიტორიიდან სოფელ ჟონეთის, საკრისა და მამაწმინდის ოჯახების ნაწილს წყალტუბოში აფხაზეთიდან დევნილებისთვის განკუთვნილ კორპუსებში ჩასახლება.

არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, გარდა იმისა, რომ მოსახლეობა კარ-მიდამოს დაკარგავს, განადგურდება დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ხვამლის მღვიმეები, შეივცლება ეკოსისტემა და გააქტიურდება მეწყერები.

არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” თავმჯდომარის მანანა ქოჩლამის ინფორმაციით, “ნამახვანის” კასკადის მშენებლობით 14 სოფელი დაზარალდება, დაახლოებით, 800 ადამიანს გაასახლებენ. დაიტბორება 924 ჰექტარი მიწა (10 კვ.კმ), აქედან 654 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწებია, რომლებიც აქტიურად მუშავდება. 270 ჰექტარი კი ტყეებია.

“ასევე ზიანი მიადგება ხვამლის ნაკრძალს, რომელიც ტვიმის რეზერვუარიდან 100 მეტრშია. აქ ისეთი მოლიმიბია, რომოვსაღ უმნიშვნელოვანისი ჯოლოჯოროლი დაჩაირთა აქვს. რიზორჯოარობი შიქმნიზა რიონის

გამოკითხვა

გამოიყენებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი მთავრობის გადაყენების კონსტიტუციურ უფლებას?

- ვერ გაზედავს
- თქვა, რომ არ აპირებს
- 19 აპრილს დაანონსებული აქცია ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია
- 19 აპრილს მათი მხარდამჭერების რაოდენობა განსაზღვრავს
- მიჭირს პასუხის გაცემა

ხმის მიცემა

სარემკლამო განმარი
285 X AUTO

GlobalTV
100-ზე მეტი
წიგინგული აწიხი

2 47 12 12

პაქატაგის უასაგი 1 ლარი

WWW.GLOBALTV.GE

ბლოგები



გასწვრივ 27 კილომეტრზე, ეს ნიშნავს, რომ მდინარის ეკოსისტემა სრულიად შეიცვლება. ასევე შეიცვლება კლიმატი, გააქტიურდება ქარები”, - ამბობს მანანა ქოჩლაძე.

სპეციალისტების განცხადებით, ნებისმიერი ჰესის მშენებლობა, მსხვერპლს მოითხოვს, თუმცა ზარალის მასშტაბები დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომლებსაც მთავრობამ ეს პროექტები მიანდო. ნებისმიერი ჰესის მშენებლობისას არსებობს გარემოზე ზემოქმედების საშიშროება, თუმცა მასშტაბები განისაზღვრება იმის მიხედვით თუ ვინ აშენებს ამ ჰესს. ქართველი სპეციალისტები, რომლებმაც თავის დროზე აღნიშნული ელექტროსადგურები დააპროექტეს, აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ ისინი მშენებლობას ჩამოაშორა, შესაბამისად, თურქი ან ინდოელი ინვესტორისთვის (ხუდონჰესს ინდოელები აშენებენ, ხოლო ნამახვანის კასკადს - თურქები) მოსახლეობისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით ვერ იმოქმედებს.

ნანახია - 173

კომენტარები - 0

რეგისტრაცია

სახელი:

პაროლი:

შესვლა



2012-03-08 15:20:27

უინტერესო პარლამენტის
საინტერესო სხდომა

**საბჭოთა
ანაბრების
შემსწავლელი
ცენტრი**

ვალუტა

AZN	2.1142	-0.0001
USD	1.6594	-0.0001
GBP	2.4684	-0.0195
EUR	2.1569	-0.0046
RUB	5.3951	+0.0006
AMD	4.0416	-0.0007

ვალუტის კონვერტორი

GEL	<input type="text"/>
USD	<input type="text"/>
GBP	<input type="text"/>
EUR	<input type="text"/>
TRY	<input type="text"/>
CAD	<input type="text"/>
UAH	<input type="text"/>
JPY	<input type="text"/>
RUB	<input type="text"/>
AMD	<input type="text"/>

www.lari.ge

